

ლადო პაპავა: “ჩვენ ვცხოვრობთ პიარისა და დაკირებების ქვეყანაში, სადაც ხალხი ჩოქვით დაიარება”

“კაზინოები და მდიდრული მაღაზიები ფულის
გათეთრების საუკეთესო საშუალებაა”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 5-11 ივნისი, № 23, 2008

პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ლადო პაპავა, გულისტკივილით ლაპარაკობს იმ პრობლემებზე, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. „ალბათ, გახსენდებათ ცნობილი სიმღერა „ყვავილების ქვეყანა“... სამწუხაროდ, საქართველო დღეს უკვე აღარ არის ყვავილების ქვეყანა, ის იქცა პიარისა და დაპირებების ქვეყნააა: პიარების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე!“ – განაცხადა ბატონმა ლადომ ჩვენთან საუბრისას, ეს საუბარი კი, როგორც ყოველთვის, საინტერესო და ემოციური იყო.

– ბატონო ლადო, რადგან სიტყვა დაპირებებზე ჩამოვარდა, ხელისუფლება პენსიონერებს ასდოლარიან პენსიებს ჰპირდება. რას ნიშნავს ეს, რატომ დოლარი და არა – ლარი?

– რა შეიძლება ითქვას „ასდოლარიან დაპირებაზე“? – ჯერ ერთი, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ქვეყანაში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება არის ეროვნული გალუტა – ლარი. თუ ლარია კანონიერი საგადამხდელო საშუალება, ყველა გასაცემელი ფულის სწორედ ამ ერთეულში უნდა დაფიქსირდეს. როცა მთავრობა გვპირდება, 2009 წლის ბოლოს პენსიები 100 დოლარს მიაღწევსო, აქ უკვე დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობა. მინდა ერთი ფაქტი შევახსენო გაზეთის მკითხველს: პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე ორიოდე თვის წინ, ტელევიზიით ჩემთან დებატებისას, ამტკიცებდა, – საქართველოში დოლარის ფენომენი უნდა მოიხსნას საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებშიც და ლარის სტაბილურობის თვალსაზრისითაც, უმჯობესია, ვილაპარაკოთ ევროზე.

უპრიანი იქნებოდა, ეს დაპირებაც შესრულებულიყო პენსიებთან მიმართებაში, მაგრამ რატომდაც არ შესრულდა, თუმცა ისიც ისეთივე კანონდარღვევა იქნებოდა, როგორც დოლარებშია პენსიის ოდენობის დაპირება.

ახლა მივუბრუნდეთ საკითხს, რატომ პეირდება ხელისუფლება ქართველ პენსიონერებს 100 დოლარს, იმიტომ, რომ 2009 წლის ბოლოს ეს გაცილებით მცირე თანხა იქნება, რადგან დოლარი განიცდის თითქმის უწყვეტ დევალვაციას, ბავშვიც კი მიხვდება, რომ 100 დოლარი ერთი-ორი წლის შემდეგ ის ადარ იქნება, რაც ახლა არის. ამიტომაც მთავრობამ შეიძლება შეასრულოს ეს დაპირება, მაგრამ პენსიონერები იმ დროისათვის სულ სხვა რაოდენობის თანხას მიიღებნ, ოდონდ რამდენს, ამის თქმა ახლა ძნელია.

– **სამწუხაროა, მაგრამ შედეგი არ მოაქვს ხელისუფლების მიერ წამოწყებულ სოციალურ პროგრამებს, უმუშევრობა და სიღატაკე კვლავინდებურად მეფობს ქვეყანაში.**

– აქაც შეუსრულებულ დაპირებებთან გვაქვს საქმე. ავიღოთ თუნდაც, სიღარიბის დაძლევის პროგრამა, თვით ეს ფორმულირებაც კი არასწორია. სიღარიბის ბოლომდე დაძლევას ვერ ახერხებს ისეთი ზესახელმწიფოც კი, როგორიც აშშ-ია. იქ სიღარიბის მაჩვენებელი 12 პროცენტს აღწევს. ახლა უკვე სიღარიბის შემცირებაზე დაიწყეს ლაპარაკი. თუ ქვეყნის ეკონომიკა არ განვითარდა, სამუშაო ადგილები არ შეიქმნა, სიღარიბის დაძლევასა და უმუშევრობის აღმოფხვრაზე ლაპარაკი მხოლოდ პიარია და სხვა არაფერი.

– **საქართველოში საქმაოდ ინტენსიურად ვითარდება სათამაშო ბიზნესი. ყოველ ნაბიჯზე ისნება კაზინოები, სლოტები... ცნობილია, რომ მხოლოდ იანგარ-მარტში ამ ბიზნესიდან შემოსულმა საბიუჯეტო შემოსავლებმა 12 მილიონ ლარს მიაღწია.**

– სხვათა შორის, სათამაშო ბიზნესი ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალებაა, ისევე, როგორც მდიდრული მაღაზიები. ალბათ, ბევრჯერ შესულხართ ამ მაღაზიებში, სადაც ასტრონომიული ფასებია და იშვიათად თუ ვინმე შეძლებს იყიდოს რამე. როგორც წესი, კაზინოებისა და საფირმო მაღაზიების უკან სულ სხვა შემოსავლები იმაღება. აქვს ადამიანს უკანონოდ ნაშოვნი ფული? – გახსნის ასეთ მაღაზიას ან კაზინოს და ყველაფერი რიგზეა. ფულის გათეთრებაც თავისუფლად შეიძლება... საწყენი მხოლოდ ის არის, რომ ბიუჯეტის შევსებას ამგვარი გზებითა და საშუალებებით ცდილობენ.

– დავუბრუნდეთ პიარსა და დაპირებებს: ყველა ხედავს, რომ დაპირებებს ოპოზიციის წარმომადგენლებიც საქმაოდ უხვად არიგებენ, განსაკუთრებით – არჩევნების წინ...

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ოპოზიციურ მალებს ნამდვილად არ ექნებათ იმის საშუალება და პირობები, საკუთარი დაპირებების შესრულებაზე იფიქრონ. იმ სურათით, რაც ჩვენ გვაქვს ახლანდელ პარლამენტში, ყველაზე რეალურია, ვიღებარაკოთ ხელისუფლების დაპირებებზე, იმაზე, თუ როგორ ასრულებს მმართველი ძალა საკუთარ დაპირებებს,

– დასასრულ, ბატონო ლადო, გქონდათ თუ არა სურვილი, კვლავ დარჩენილიყავით საქართველოს პარლამენტში?

– ჩემი აზრის დაფიქსირებაში ხელს ვერ შემიშლის ის, რომ დეპუტატი აღარ ვარ. ახლანდელ პარლამენტში იმდენი ღირსეული ადამიანი ვერ მოხვდა, რომ პარლამენტარობაზე გული არ მწყდება. როდესაც საკანონმდებლო ორგანოში არ მიიღებენ ისეთ ეკონომისტს, როგორიც, მაგალითად, ნიკო ორგელაშვილია და მის ნაცვლად, ფინანდაზე დაუგებენ ვიდაც სხვას, იქ კომენტარი ზედმეტია...

ხათუნა ჩიგოგიძე